საქართველოს მთავრობის

დადგენილება №315

2017 წლის 3 ივლისი

ქ. თბილისი

„დამწყები საწარმოების (სტარტაპების) ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 მაისის №206 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, „დამწყები საწარმოების (სტარტაპების) ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 მაისის №206 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 16/05/2016, 240140000.10.003.019271) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის:

1. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) შეარჩევს პროექტებს დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად;

დ) შერჩეული პროექტებისათვის უზრუნველყოფს თანხების გამოყოფას, პროექტის ბენეფიციართან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად;“.

2. მე-9 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პროგრამის დაფინანსების წყაროა სს „საპარტნიორო ფონდის“ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი, მაგრამ არაუმეტეს 35 000 000 ლარის ზღვრული ოდენობისა, მათ შორის, პროგრამის განხორციელების პირველ ეტაპზე – არაუმეტეს 10 000 000 ლარისა.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**